განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ინგლისური ფილოლოგია/English Philology**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში/Bachelor of Arts in English Philology**
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	თამარ სირაძე, პროფესორი - tamar.siradze@bsu.edu.ge ჟუჟუნა გუმბარიძე, ასოცირებული პროფესორი - zhuzhuna.gumbaridze@bsu.edu.ge ნათია ქათამაძე, ასოცირებული პროფესორი - zhuzhuna.gumbaridze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTSმოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	180 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	✓ მისცეს ფართო ცოდნა ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხების, თარგმანისა და ენობრივი მედიაციის თეორიული საფუძვლების, კომუნიკაციის თეორიებისა და ტექნიკის, კვლევის ელემენტებისა და აკადემიური ტექსტის შექმნის ძირითადი პრინციპების შესახებ; ✓ შეასწავლოს ინგლისური ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური, ლექსიკურ–სემანტიკური და ლექსიკოლოგიურ-სტილისტიკური თავისებურებები სამეტყველო უნარების (წერა, მოსმენა, საუბარი, კითხვა) ენობრივი კომპეტენციის არანაკლებ B2 დონეზე დაუფლების მიზნით; ✓ ჩამოუყალიბოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა ინგლისურ ენაზე; განუვითაროს სხვადასხვა დანიშნულების ზეპირი და წერილობითი ტექსტის შექმნისა და საკუთარი აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით გამოთქმის უნარი კულტურათაშორისი კომუნიკაციის ეფექტიანად წარმართვის მიზნით; ✓ გააცნოს ანტიკური, დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ტენდენციები, ბრიტანული და ამერიკული კულტურის საკვანძო საკითხები; გამოუმუშავოს ლიტერატურული ნაწარმოებების, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის აღქმის, გაცნობიერებისა და შეფასების უნარი; ✓ გამოუმუშავოს სხვადასხვა თემატიკისა და ჟანრის ინგლისურენოვანი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების სწორად გაგების, ინტერპრეტაციის, ფილოლოგიური მონაცემების შეგროვების, გაანალიზების, დასკვნების გამოტანის, არგუმენტირებული მსჯელობის, დასაბუთების კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, სინთეზის და ანალიზის უნარი; ✓ განუვითაროს საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის, ეთიკური ნორმების და აკადემიური

	კეთილსინდისიერების დაცვის, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი.
სწავლის შედეგები	✓ აღწერს ზოგადფილოლოგიური მეცნიერებების, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკვანძო ტერმინებს, ცნებებს და საკითხებს, თარგმანმცოდნეობისა და კომუნიკაციის თეორიებს და ფუნქციებს; ✓ ამოიცნობს და განმარტავს ინგლისური ენის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ-სინტაქსურ, ლექსიკურ–სემანტიკურ და ლექსიკოლოგიურ-სტილისტიკურ ცნებებს და თავისებურებებს; ✓ მიმოიხილავს ინგლისური ენის ისტორიის, ბრიტანული და ამერიკული კულტურის ძირითად საკითხებს, ანტიკური, დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის მნიშვნელოვან ტენდენციებს, ძირითად მიმდინარეობებს, თეორიებსა და კონცეფციებს, პრინციპებსა და უახლეს პრობლემებს. ✓ იყენებს ინგლისურ ენას (არა ნაკლებ B2 დონეზე) როგორც ზეპირი, ისე წერითი კომუნიკაციის დროს სამიზნე აუდიტორიასთან და გამოხატავს საკუთარ აზრს ცხადად და მწყობრად შესაბამისი ენობრივ-სტრუქტურული ერთეულების შერჩევითა და სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვით. ✓ განასხვავებს სხვადასხვა თემატიკისა და ჟანრის ინგლისურენოვან მხატვრულ და არამხატვრული ტექსტებს; გამოხატავს შემოქმედებით და კრიტიკულ დამოკიდებულებას, დამოუკიდებელი და რეფლექსური აზროვნების უნარს ფუნქციურად და შინაარსობრივად მრავალფეროვან ტექსტებთან მიმართებაში. ✓ ავლენს ინგლისურ ენაზე მიზნობრივი ამოცანის შესატყვისი სტილით წერისა და მეტყველების კულტურას და ქმნის სხვადასხვა დანიშნულების ზეპირ და წერილობით ტექსტს ტექსტის აგების კანონზომიერების პრინციპებისა და ენობრივი კომუნიკაციის სათანადო ხერხებისა და ტექნიკების გამოყენებით. ✓ აანალიზებს სხვადასხვა ეპოქის დასავლეთვროპული და ამერიკული ლიტერატურის, ბრიტანული და ამერიკული კულტურის ტექსტებს მათში ასახული ინფორმაციის, იდეების, ფასეულობების, თემებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით და ავლენს მათ მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას და პოზიციას. ✓ მონაწილეობს დისკუსიებში, აბსტრაქტული, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარის გამომუშავების საფუძველზე მსჯელობს არგუმეტირებულად და თანმიმდევრულად; პრობლემას ხედავს ახლებურად და მოიძიებს პრობლემის გადაჭრის ორიგინალურ გზებს იდეათა შორის ახლებური კავშირების პოვნის შედეგად. ✓ ქმნის კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომს/პროექტს (საბაკალავრო ნაშრომი, რეფერატი, სასემინარო პრეზენტაცია, ანალიზი და სხვ.); მოიძიებს და ამუშავებს ქართულ და ინგლისურ ენებზე არსებულ წყაროებს; პრეზენტაციისას იყენებს ვიზუალურ აღიარებს დასავლეთევროპულ და ამერიკულ კულტურულ ტრადიციებსა და ფასეულობებს, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მაღალ იდეებს; ✓ იცავს თავისუფალი პიროვნების ქცევისადმი წაყენებულ პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებს; ✓ ზრუნავს საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს სწავლის საჭიროებების დამოუკიდებლად განსაზღვრისა და იმ პრიორიტეტების გამოყოფის უნარს, რაც განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს ან/და შესაბამის სფეროში დასაქმებაში შეუწყობს ხელს; ▯ იყენებს დამხამრე საშუალებებსა და მულტიმედიურ რესურსებს.